

შპს „კონდი“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

ერთეული: 1 GEL

	საანგარიშგებო პერიოდი		შენიშვნა
	31.12.2018	31.12.2017	
აქტივები			
<i>მიმდინარე აქტივები, სულ:</i>	812362	480814	
ფულადი სახსრები	628369	238984	3.1
სავაჭრო მოთხოვნები	13339	15487	3.2
ავანსები და წინასწარ ანაზღაურებული ხარჯები	61898	57635	
მარაგები	108496	81509	3.3
სხვა მიმდინარე აქტივები	260	87199	
<i>გრძელვადიანი აქტივები, სულ:</i>	1024399	935499	
ძირითადი საშუალებები	1018666	931449	3.4
არამატერიალური აქტივები	5733	4050	3.5
სულ აქტივები:	1836761	1416313	
ვალდებულებები და კაპიტალი			
<i>ვალდებულებები, სულ:</i>	142119	179731	
სავაჭრო ვალდებულებები	34824	100377	3.6
საგადასახადო ვალდებულებები	82498	53049	
სხვა ვალდებულებები	24797	26305	3.7
<i>სულ კაპიტალი:</i>	1694642	1236582	3.8
საწესდებო (სააქციო) კაპიტალი			
დაგროვილი მოგება / დაუფარავი ზარალი	1694642	1236582	
სულ ვალდებულებები და კაპიტალი:	1836761	1416313	

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 30.09.2019 წ.

დირექტორი _____

ირაკლი ბოჭორიშვილი

თანხლები განმარტებითი შენიშვნები არის დამტკიცებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.



შპს „კონდი“		
		ერთეული: 1 GEL
	საანგარიშგებო პერიოდი	შენიშვნა
	2018	
ამონაგები	6264600	3.9
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	-4129285	
მოგება ან ზარალი რეალიზაციიდან	2135315	
მიწოდების ხარჯები	-618880	3.10
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	-419371	3.11
სულ საოპერაციო ხარჯები:	-1038251	
საპროცენტო შემოსავალი	7845	
დადებითი საკურსო სხვაობები	33	
სხვა შემოსავალი	4035	
სულ არასაოპერაციო შემოსავლები:	11913	
უარყოფითი საკურსო სხვაობები	-210	
გაუთვალისწინებელი ხარჯები	-13961	
ზარალი ძირ. საშ. რეალიზაციიდან	-3064	
სულ არასაოპერაციო ხარჯები:	-17235	
მოგება დაბეგვრამდე:	1091742	
მოგების გადასახადის ხარჯი	-53682	
სულ საანგარიშგებო პერიოდის მოგება ან ზარალი:	1038060	3.12
სულ საანგარიშგებო პერიოდის სხვა სრული შემოსავალი:		
სულ საანგარიშგებო პერიოდის სრული შემოსავალი:	1038060	
საკუთარი კაპიტალის საწყისი ნაშთი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	1236582	
ახალი აქციების გამოშვება / კაპიტალის ზრდა		
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი):	-580000	
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	1038060	
კაპიტალის სხვა ცვლილებები		
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	1694642	

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 30.09.2019 წ.

დირექტორი _____

ირაკლი ბოჭორიშვილი



თანმხლები განმარტებითი შენიშვნები არის ჩამოტანილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.

შპს „კონდი“

2018 წლის ფინანსური ანგარიშგება

შპს „კონდი“				
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება				
		ერთეული: 1 GEL		
	საანგარიშგებო პერიოდი			შენიშვნა
	31.12.2018	31.12.2017		
აქტივები				
მიმდინარე აქტივები, სულ:	812362	480814		
ფულადი სახსრები	628369	238984	3.1	
სავაჭრო მოთხოვნები	13339	15487	3.2	
ავანსები და წინასწარ ანაზღაურებული ხარჯები	61898	57635		
მარაგები	108496	81509	3.3	
სხვა მიმდინარე აქტივები	260	87199		
გრძელვადიანი აქტივები, სულ:				
მიმდინარე საშუალებები	1018666	931449	3.4	
არამატერიალური აქტივები	5733	4050	3.5	
სულ აქტივები:	1836761	1416313		
ვალდებულებები და კაპიტალი				
ვალდებულებები, სულ:	142119	179731		
სავაჭრო ვალდებულებები	34824	100377	3.6	
საგადასახადო ვალდებულებები	82498	53049		
სხვა ვალდებულებები	24797	26305	3.7	
სულ კაპიტალი:	1694642	1236582	3.8	
საწესდებო (სააქციო) კაპიტალი				
დაგროვილი მოგება / დაუფარავი ზარალი	1694642	1236582		
სულ ვალდებულებები და კაპიტალი:	1836761	1416313		
ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 30.09.2019 წ.				
დირექტორი _____	ირაკლი ბოჭორიშვილი			
თანხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.				

შპს „კონდი“		
		ერთეული: 1 GEL
	საანგარიშგებო პერიოდი	შენიშვნა
	2018	
ამონაგები	6264600	3.9
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	-4129285	
მოგება ან ზარალი რეალიზაციიდან	2135315	
მიწოდების ხარჯები	-618880	3.10
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	-419371	3.11
სულ საოპერაციო ხარჯები:	-1038251	
საპროცენტო შემოსავალი	7845	
დადებითი საკურსო სხვაობები	33	
სხვა შემოსავალი	4035	
სულ არასაოპერაციო შემოსავლები:	11913	
უარყოფითი საკურსო სხვაობები	-210	
გაუთვალისწინებელი ხარჯები	-13961	
ზარალი ძირ. საშ. რეალიზაციიდან	-3064	
სულ არასაოპერაციო ხარჯები:	-17235	
მოგება დაბეგრამდე:	1091742	
მოგების გადასახადის ხარჯი	-53682	
სულ საანგარიშგებო პერიოდის მოგება ან ზარალი:	1038060	3.12
სულ საანგარიშგებო პერიოდის სხვა სრული შემოსავალი:		
სულ საანგარიშგებო პერიოდის სრული შემოსავალი:	1038060	
საკუთარი კაპიტალის საწყისი ნაშთი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	1236582	
ახალი აქციების გამოშვება / კაპიტალის ზრდა		
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი):	-580000	
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	1038060	
კაპიტალის სხვა ცვლილებები		
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	1694642	
ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 30.09.2019 წ.		
დირექტორი _____	ირაკლი ბოჭორიშვილი	
თანმხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.		

2018 წლის ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ნაწილი

1.1. შპს „კონდი“ (შემდგომში – კომპანია) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანია დარეგისტრებულია 2015 წლის 22 ივლისს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად. მისი საიდენტიფიკაციო კოდია - 404497914 , იურიდიული მისამართი - საქართველო, თბილისი, ძველი თბილისის რაიონი, გ. რჩეულიშვილის ქ., კორ. 4, ბ. 12. ფაქტობრივი მისამართი ქ. თბილისი, რჩეულიშვილის მე-3 ჩიხი, კორპ. კომპანიის საფირმო სახელწოდებაა „საკონდიტრო ბელა“. კომპანია დარეგისტრებულია დღგ-ის გადამხდელად 2015 წლის 2 სექტემბრიდან.

1.2. კომპანიის წილის მფლობელები არიან:

ირაკლი ბოჭორიშვილი (პ/ნ 01017011954) - 50%.

ბექა ბოჭორიშვილი (პ/ნ 01017016820) - 50%.

1.3. კომპანიის დირექტორია ირაკლი ბოჭორიშვილი (პ/ნ 01017011954)

1.4. კომპანიის ძირითადი ეკონომიკური საქმიანობაა არახანგრძლივი შენახვის საკონდიტრო ნაწარმის წარმოება და რეალიზაცია.

1.5. კომპანიას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, არ ჰყავს შვილობილი და მეკავშირე საწარმოები.

1.6. კომპანიას დაქირავებულ თანამშრომელთა რიცხვი 2018 წელს შეადგენდა 66 კაცს.

1.7. წესდების მიხედვით, საანგარიშგებო წელი გრძელდება 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა

2.1. 2018 წლის 1 იანვრიდან დაწყებული, კომპანიის ბუღალტრული აღრიცხვა და ფინანსური ანგარიშგება წარმოებს მსს ფასს-ის (ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი მცირე და საშუალო საწარმოებისათვის) მიხედვით. ამასთან, კომპანია წარმოადგენს მესამე კატეგორიის საწარმოს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს 2016 წლის 8 ივნისის კანონის თანახმად. აღნიშნული კანონიდან გამომდინარე, კომპანიას არ ევალება წლიური ფინანსური ანგარიშგების აუდიტი.

2.2. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საქმიანობის უწყვეტობის და პირვანდელი (ისტორიული) ღირებულების პრინციპის გათვალისწინებით. აღრიცხვა-ანგარიშგების ფუნდამენტური სააღრიცხვო პრინციპი - დარიცხვის მეთოდი დაცულია. სააღრიცხვო შეფასებები და ძირითადი დაშვებები ყოველწლიურად გადაიხედება. სააღრიცხვო შეფასების ცვლილების აღიარება ხდება იმ პერიოდში, როდესაც ხდება შეფასებების გადახედვა და ასევე შესაბამის მომავალ პერიოდებში.

2.3. გათვალისწინებულია მსს ფასს-ის ძირითადი დაშვება - ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპი, რაც გულისხმობს, რომ კომპანიის მენეჯმენტი არ გეგმავს და არ მოელოს, რომ უახლოესი ერთი წლის განმავლობაში კომპანია შეწყვეტს ფუნქციონირებას, ან მოხდება მისი საქმიანობის მასშტაბის არსებითი შეზღუდვა. შესაბამისად, კომპანიის 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ამ დაშვების გათვალისწინებით, რაც გულისხმობს, რომ აქტივების რეალიზაცია/გასვლა და ვალდებულებების დაფარვა ხორციელდება ბიზნესის ჩვეულებრივი მსვლელობისას.

2.4. 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, გამოყენებულია ამ თარიღის მდგომარეობით მოქმედი მსს ფასს.

2.5. კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი ემთხვევა კალენდარულ წელს (1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე).

2.6. კომპანიის მიერ გამოყენებულია შემდეგი სააღრიცხვო პოლიტიკა:

შემოსავლების აღიარება

შემოსავლების აღიარება ხდება საქონლის და მომსახურების გაყიდვიდან ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში მისაღები ან მიღებული თანხის სამართლიანი ღირებულებით, დარიცხვის მეთოდის შესაბამისად.

საექვო მოთხოვნების აღიარება

კომპანიის საექვო მოთხოვნების სიდიდე განისაზღვრება ინდივიდუალურად თითოეული დებიტორული დავალიანების შესწავლის გზით. თუ დებიტორული დავალიანების წარმოშობიდან გასულია 3 წელი ან მეტი, ეს წარმოადგენს წინაპირობას მისი 100%-იანი გაუფასურებისათვის, თუმცა ყოველ ცალკეულ შემთხვევაში ხდება დამატებითი განსჯა, საჭიროა თუ არა მოთხოვნის გაუფასურების ანარიცხის აღიარება 3 წელზე უფრო ნაკლებ ვადაში.

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების ამორტიზებული ღირებულება (გარდა მცირევადიანი ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებებისა) ყოველი საანგარიშგებო პერიოდისთვის წარმოადგენს შემდეგი სიდიდეების ნეტო ღირებულებას:

(ა) თანხა, რომლითაც ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება შეფასებულია თავდაპირველი აღიარებისას;

(ბ) გამოკლებული ძირი თანხის დასაფარად გადახდილი თანხები;

(გ) მიმატებული ან გამოკლებული დაგროვილი ამორტიზაციის თანხა, რომელიც მიიღება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით თავდაპირველად აღიარებულ და დასაფარ თანხებს შორის განსხვავების მიმართ; და

(დ) გამოკლებული, ფინანსური აქტივის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალის ან უიმედო ვალის შემცირების თანხა (პირდაპირ, ან რეზერვების ანგარიშების გამოყენებით).

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები, რომლებსაც არ გააჩნია ნომინალური საპროცენტო განაკვეთი, დაკავშირებული არ არის ისეთ შეთანხმებასთან, რომელიც ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს და კლასიფიცირდება, როგორც მოკლევადიანი აქტივები ან მოკლევადიანი ვალდებულებები, თავდაპირველად შეფასდება არადისკონტირებული ღირებულებით. აქედან გამომდინარე, მათზე არ ვრცელდება ზემოაღნიშნული (გ) პუნქტის მოთხოვნა.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების (ან ფინანსური აქტივების, ან ფინანსური ვალდებულებების ჯგუფის) ამორტიზებული ღირებულების გამოთვლისა და საპროცენტო შემოსავლების ან ხარჯების შესაბამის პერიოდზე მიკუთვნების მეთოდი. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომლის მეშვეობით ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი ვადის ან, როდესაც შესაფერისია, უფრო მოკლე ვადის განმავლობაში მისაღები ან გადასახდელი სავარაუდო ფულადი სახსრები ზუსტად დისკონტირდება ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი უნდა განისაზღვროს ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებაზე დაყრდნობით, რომელიც მას გააჩნია საწყისი აღიარებისას. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის მიხედვით:

(ა) ფინანსური აქტივის (ვალდებულების) ამორტიზებული ღირებულება არის მომავალში მისაღები (გადასახდელი) ფულადი სახსრების დღევანდელი ღირებულება, რომელიც დისკონტირებულია ეფექტური საპროცენტო განაკვეთით;

(ბ) პერიოდის საპროცენტო ხარჯი (შემოსავალი) ტოლია მოცემული პერიოდის ეფექტური საპროცენტო განაკვეთისა და ფინანსური ვალდებულების (აქტივის) საბალანსო ღირებულების ნამრავლის, რომელიც მას ჰქონდა პერიოდის დასაწყისში.

გარიგებები უცხოურ ვალუტაში

გარიგებები უცხოურ ვალუტაში კონვერტირდება კომპანიის შესაბამის ფუნქციონალურ ვალუტაში ტრანზაქციების განხორციელების დღეს საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) მიერ დადგენილი ოფიციალური სავალუტო გაცვლითი კურსის მიხედვით. ანგარიშგების თარიღისთვის, უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაიცვლება ფუნქციონალურ ვალუტაში, ამავე თარიღისთვის არსებული გაცვლითი კურსის მიხედვით. უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი არაფულადი აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც დაიანგარიშდება სამართლიანი ღირებულებით, კონვერტირდება ფუნქციონალურ ვალუტაში სამართლიანი ღირებულების განსაზღვრის დღისთვის არსებული ვალუტის გაცვლის კურსის მიხედვით. არაფულადი ერთეულები უცხოურ ვალუტაში, რომელიც გამოთვლილია ისტორიული ღირებულების საფუძველზე, გადაყვანილია ტრანზაქციის თარიღისთვის მოქმედი გაცვლითი კურსით. ვალუტის გადაფასებით გამოწვეული სავალუტო საკურსო სხვაობები აისახება პერიოდის მოგებაში ან ზარალში.

დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები

თანამშრომელ პირთა გასამრჯელოები აღიარდება შესრულებული სამუშაოს საფუძველზე არადისკონტირებული ღირებულებით და შესაბამისად აისახება ხარჯებში. ასანაზღაურებელი თანხა აღიარდება მოკლევადიანი ვალდებულების სახით.

მარაგები

მარაგები აღირიცხება უწყვეტი მეთოდით. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ისინი შეფასებულია თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის ბიზნესის ჩვეულებრივ პირობებში საქმიანობისას არსებული აქტივის გასაყიდი ფასი, შემცირებული იმ მოსალოდნელი დანახარჯების ოდენობით, რომლებიც დაკავშირებულია აქტივის გაყიდვასთან. მარაგების ჩამოწერა ხდება სპეციფიკური იდენტიფიკაციის მეთოდის საშუალებით, თუ ეს შესაძლებელი და მიზანშეწონილია, ხოლო სხვა შემთხვევებში - საშუალო ფასთა მეთოდის გამოყენებით.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს კომპანიისთვის წარმოადგენს ფული სალაროში და ფული მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე.

გრძელვადიანი აქტივები

ა) ძირითადი საშუალებების, საინვესტიციო ქონების და არამატერიალური აქტივების აღრიცხვისათვის გამოიყენება თვითღირებულების მოდელი.

ბ) ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ცვეთისათვის გამოიყენება წრფივი მეთოდი. ამასთან, ცვეთის დარიცხვა იწყება იმ თვიდან, როდესაც ძირითადი საშუალების/საინვესტიციო ქონების გამოყენება დაიწყო, ხოლო იმ თვეში, როდესაც მოხდა ძირითადი საშუალების/საინვესტიციო ქონების გასვლა, ცვეთის დარიცხვა არ ხდება.

გ) ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ცვეთა ხდება საბალანსო და სალიკვიდაციო ნარჩენ ღირებულებებს შორის სხვაობიდან სასარგებლო სამსახურის ვადის გათვალისწინებით. თუ კონკრეტული ძირითადი საშუალებისთვის ან საინვესტიციო ქონებისთვის ნარჩენი სალიკვიდაციო ღირებულება განსაზღვრული არ არის, ის ჩაითვლება ნულის ტოლად, ხოლო თუ სასარგებლო სამსახურის ვადა არ არის დადგენილი, ცვეთის დარიცხვა ხდება შემდეგი წლიური საპროცენტო განაკვეთების მიხედვით:

მანქანა-დანადგარები - 5 წელი;

კომპიუტერული ტექნიკა - 5 წელი;

ავეჯი და ოფისის აღჭურვილობა - 5 წელი;

სატრანსპორტო საშუალებები - 5 წელი;

იჯარით აღებული ფართის კაპიტალური რემონტი - 6-7 წელი;

სხვა ძირითადი საშუალებები - 2-5 წელი.

ე) არამატერიალური აქტივების ამორტიზაციისათვის გამოიყენება:

- იმ არამატერიალური აქტივებისათვის, რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა და ეს ვადა განსაზღვრულია, გამოიყენება ამორტიზაციის დარიცხვის წრფივი მეთოდი მათი სასარგებლო სამსახურის ვადის შესაბამისად;

- იმ არამატერიალური აქტივებისათვის, რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა, მაგრამ ეს ვადა ცალსახად განსაზღვრული არ არის, გამოიყენება ამორტიზაციის დარიცხვის წრფივი მეთოდი წლიური საპროცენტო განაკვეთით - 15%;

- არამატერიალური აქტივები განუსაზღვრელი სასარგებლო მომსახურების ვადით არ ამორტიზდება.

მენეჯმენტის მოსაზრებით, ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას არ არსებობს კრიტიკული გადაწყვეტილებები, რომელსაც შეუძლია გავლენა იქონიოს ფინანსური ანგარიშგების მუხლებში აღიარებულ თანხებზე და არ არსებობს ვარაუდები და შესაძლო გაურკვევლობები, რომელიც შეიძლება შეიცავდეს არსებითი კორექტირებების მნიშვნელოვან რისკებს მომავალი ფინანსური წლის შედეგებზე.

2.7. გადასახადები

2016 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ (რომელიც ასევე ცნობილია მოგების გადასახადის „ესტონური მოდელის“ სახელით), რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი გაცემის თარიღამდე. კანონი ძალაშია საგადასახადო პერიოდებისთვის 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ ყველა იურიდიული პირისთვის, გარდა ფინანსური დაწესებულებებისა (როგორც არის ბანკები, სადაზღვევო კომპანიები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, საკრედიტო კავშირები და და დადგენილი წესით რეგისტრირებული სესხის გამცემი სუბიექტები), რომლებისთვისაც კანონი მოგვიანებით შედის ძალაში (2023 წლის 1 იანვრიდან). კომპანიის დაბეგვრა მოგების გადასახადით ხდება „ესტონური მოდელის“ შესაბამისად.

ახალი საგადასახადო სისტემიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ კომპანიებს, როგორც წესი, არ წარმოეშვებათ დროებითი სხვაობები კომპანიის საგადასახადო ვალდებულებებსა და მათ საბალანსო ღირებულებებს შორის. შესაბამისად,

2017 წლიდან მათ არ აქვთ გადავადებული საგადასახადო აქტივები და გადავადებული მოგების გადასახადის ვალდებულებები (გარდა იშვიათი გამონაკლისის შემთხვევებისა).

2017-2018 წლებში საქართველოში მოგების გადასახადის განაკვეთი 15%-ს შეადგენდა.

2.8. წარდგენის ვალუტა და ერთეულის სიზუსტე

საქართველოს ეროვნულ ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი, რომელიც არის კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა და აგრეთვე ვალუტა, რომელშიც არის წარმოდგენილი კომპანიის ფინანსური ანგარიშგება. ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია 1 (ერთი) ლარის სიზუსტით.

2.9. გაცვლითი სავალუტო კურსები

სავალუტო ფულადი მუხლებისათვის გამოყენებულია შემდეგი ოფიციალური გაცვლითი კურსები, დადგენილი საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ:

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1 USD=2.6766 ლარი;

1 EUR=3.0701 ლარი.

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1 USD=2.5922 ლარი;

1 EUR=3.1044 ლარი.

3. ფინანსური ანგარიშგების მუხლების განმარტებითი შენიშვნები

3.1. ფული და ფულის ეკვივალენტები:

	ნაშთი 31.12.2018		ნაშთი 31.12.2017
	(ლარი)		(ლარი)
ნაღდი ფული საღაროში	178388		116860
მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე	449981		122124
	628 369		238 984

3.2. სავაჭრო მოთხოვნები:

	ნაშთი 31.12.2018		ნაშთი 31.12.2017
	(ლარი)		(ლარი)
ადგილობრივი მყიდველები	13 339		15 487
	13339		15487

2018 წლის ბოლოსათვის, კომპანიას არ აქვს გაუფასურებული დებიტორული მოთხოვნები.

3.3. მარაგები:

	ნაშთი 31.12.2018		ნაშთი 31.12.2017
	(ლარი)		(ლარი)
საქონელი	25 366		17 749
ნედლეული და მასალები	82 863		62 911
სხვა	267		849
	108 496		81 509

სხვა მატერიალური მარაგები შედგება საწვავისაგან.

3.4. ძირითადი საშუალებები:

	მიწის ნაკვეთები	დაუმთავრებელი მშენებლობა	ოფისის აღჭურვილობა	სატრანსპორტო საშუალებები	კომპიუტერული ტექნიკა	სხვა ძირითადი საშუალებები	სულ
	(ლარი)	(ლარი)	(ლარი)	(ლარი)	(ლარი)	(ლარი)	(ლარი)
ნარჩენი ღირებულება 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	656621	14600	5119	119488	6316	129305	931449
დამატება	6800	10699	1821	178741	4247	13994	216302
შემცირება				43780			43780
ცვეთის და მორტიზაციის ხარჯი			1458	49435	2105	32307	85305
ჩამოწერა							0
ნარჩენი ღირებულება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	663421	25299	5482	205014	8458	110992	1018666

კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკით, ძირითადი საშუალებების მიმართ გამოიყენება თვითღირებულების მოდელი.

ძირითადი საშუალებების ერთიანი დაგროვილი ცვეთის თანხა შეადგენდა:

2018 წლის ბოლოს - 127830 ლარი;

3.5. არამატერიალური აქტივები:

	პროგრამული უზრუნველყოფა	სულ
	(ლარი)	(ლარი)
ნარჩენი ღირებულება 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	4050	4050
დამატება	2370	2370
შემცირება		0
ცვეთის და მორტიზაციის ხარჯი	687	687
ჩამოწერა		0
ნარჩენი ღირებულება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	5733	5733

არამატერიალური აქტივების ერთიანი დაგროვილი ამორტიზაციის თანხა შეადგენდა:

2018 წლის ბოლოს - 1137 ლარი;

3.6. სავაჭრო ვალდებულებები:

	ნაშთი 31.12.2018		ნაშთი 31.12.2017
	(ლარი)		(ლარი)
ადგილობრივი მომწოდებლები	34 824		100 377
უცხოელი მომწოდებლები	0		0
	34 824		100 377

3.7. სხვა ვალდებულებები:

	ნაშთი 31.12.2018		ნაშთი 31.12.2017
	(ლარი)		(ლარი)
თანამშრომლების მიმართ ვალდებულებები	24797		26305
	24 797		26 305

3.8. საკუთარი კაპიტალი:

კომპანიის წესდებით განსაზღვრული კაპიტალი 0 ლარია, რაც დასაშვებია „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით. შესაბამისად, კომპანიის საკუთარი კაპიტალი მთლიანად შედგება დაგროვილი გაუნაწილებელი მოგებისაგან.

3.9. ნეტო ამონაგები და რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

2018 წელს კომპანიის ნეტო-ამონაგები შედგებოდა წარმოებული საკონდიტრო ნაწარმის გაყიდვებიდან მიღებული შემოსავლებიდან და საქონლის გაყიდვებიდან მიღებული შემოსავლიდან.

	2018
	(ლარი)
ამონაგები წარმოებული პროდუქციის რეალიზაციიდან	5 989 776
ამონაგები საქონლის რეალიზაციიდან	274 824
	6 264 600

წარმოებული პროდუქციის თვითღირებულება მოიცავს:

ნედლეულის და მასალების ხარჯს, წარმოებაში დასაქმებული პერსონალის ხელფასის ხარჯს, საწარმოო შენობის იჯარის ხარჯს, კომუნალური დანახარჯებს და წარმოების ძირითადი საშუალებების ცვეთის ხარჯს.

	2018
	(ლარი)
წარმოებული პროდუქციის თვითღირებულება:	3 901 477
საქონლის თვითღირებულება	227 808
	4 129 285

3.10. მიწოდების ხარჯები:

	2018
	(ლარი)
ხელფასები (კონსულტანტები და მძღოლები)	195 778
ავტომობილების საწვავის ხარჯი	22 769
კომუნალური ხარჯი (მაღაზიები)	31 185
მაღაზიების იჯარის ხარჯი	269 390
ძირ. საშუალებების ცვეთა	45 835
ავტომობილების რემონტის ხარჯი	9 704
მიწოდების სხვა ხარჯები	44 219
	618 880

3.11. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები:

	2018
	(ლარი)
ხელფასის ხარჯები	295 519
საიჯარო ქირა	6 000
კომუნალური ხარჯები	2 030
საკანცელარიო ხარჯები	1 198
კომუნიკაციის ხარჯები	7 375
საკონსულტაციო და აუდიტის ხარჯები	8 000
ცვეთა/ამორტიზაცია	30 427
საგადასახადო ხარჯები	3 181
საბანკო ხარჯები	14 959
საერთო დანიშნულების რემონტის ხარჯები	5 601
სხვა ხარჯები	45 081
	419 371

3.12. საანგარიშგებო პერიოდის მოგება (ზარალი):

2016 წლის 13 მაისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი მოგების გადასახადით დაბეგვრის რეფორმის შესახებ (დაბეგვრის ახალი წესი ცნობილია მოგების გადასახადის „ესტონური მოდელის“ სახელით), რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი ფაქტობრივად გაცემის თარიღამდე. 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ ეს კანონი ძალაში შევიდა ყველა კომერციული იურიდიული

პირისთვის, გარდა ფინანსური ინსტიტუტებისა (როგორც არის ბანკები, საკრედიტო კავშირები, სადაზღვევო კომპანიები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, რეგისტრირებული სესხის გამცემი სუბიექტები).

კომპანიის 2018 წლის ფინანსური შედეგი - 1091742 ლარი შემცირებულია იმ მოგების გადასახადის ხარჯით - 53682 ლარით, რომელიც წარმოიშვა 2016-2017 წლების მოგებიდან დივიდენდების გაცემის შედეგად (დაბეგვრის „ესტონური მოდელის“ შესაბამისად) 2018 წელს.

3.13. დაგროვილი გაუნაწილებელი მოგება

კომპანიის გაუნაწილებელი მოგების ნაშთი 2018 წლის ბოლოს შედგება 2017 (ნაწილობრივ) და 2018 წელს მიღებული მოგებიდან.

3.14. სასამართლო დავები:

კომპანიას 2018 წლის განმავლობაში სასამართლო დავები არ ჰქონია.

3.15. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები

2019 წლის 1 იანვრიდან 30 სექტემბრამდე პერიოდში, კომპანიის ეკონომიკურ საქმიანობაში საყურადღებო მოვლენები არ მომხდარა.

3.16. დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები

2018 წელს, კომპანიას არ ჰქონია დაკავშირებულ მხარეებთან (დამფუძნებლები, დირექტორი) ისეთი ოპერაციები, რომლებზეც გავლენას იქონიებდა მხარეთა შორის არსებული ურთიერთობები.

3.17. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ 2019 წლის 30 სექტემბერს.